



OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

შეზღუდვი შესაძლებლობის
მქონე ბავშვებისათვის
საჩუქრებსა
საღმისაწვდომობის
შეზღუდვა, ანუ სახელმწიფოს
უანი სოციალური ინკლუზიასა

ნარმოდგენილი პოლიტიკის დოკუმენტი მოიცავს პერიოდს 2017 წლის იანვრიდან ნოემბრამდე.

ავტორები:

ანა არგანაშვილი*

ნანა გოჩიაშვილი**

„პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ სახელით

რეცენზენტი: პროფ. ტობიას შუმახერი

დოკუმენტი მომზადებულია ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს“ შიდა პროექტის „ევროკავშირ-საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელების მონიტორინგი საზოგადოებრივი ორგანიზაციების კოალიციის მიერ“. ტექსტისა და კომენტარების ავტორის მიერ გამოხატული შეხედულებები, მოსაზრებები და განცხადებები მხოლოდ მას ეკუთვნის და არ გამოხატავს ფონდის მოსაზრებას. შესაბამისად ფონდი მასალის შინაარსზე პასუხს არ აგებს.

* ანა არგანაშვილი ორგანიზაციის „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისათვის“ აღმასრულებელი მენეჯერია. ბაკალავრისა და მაგისტრის ხარისხები შრომით თერაპიაში მან ილიას სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიიღო, ხოლო მაგისტრის ხარისხი სამართალში - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

** ნანა გოჩიაშვილი 2009 წლიდან მუშაობს ადამიანის უფლებების დამცველ არასამთავრობო ორგანიზაციაში, სახელმწიფო სამსახურებსა და სახალხო დამცველის ოფისში. 2014 წლიდან არის არასამთავრობო ორგანიზაციის „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ გუნდის წევრი.

საქართველო-ევროკავშირის ასოცირების დღის წესრიგითა და სამოქმედო გეგმებით ნაკისრი ვალდებულებები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა უფლებების სფეროში

მიუხედავად იმისა, რომ 2016 წლის ივლისიდან ამოქმედებული ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების შესახებ შეთანხმება ნათლად არ წარმოაჩენს ბავშვთა უფლებებთან დაკავშირებულ საკითხებს და ამასთან, ფაქტურად არ ახსენებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებებს, ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების დღის წესრიგის პოლიტიკური დიალოგისა და რეფორმების თავის (2.1) სპეციალური ქვეთავი ბავშვთა უფლებების დაცვას ეთმობა. აღნიშნულ ქვეთავში ხაზგასმულია ბავშვთა სიღარიბის წინააღმდეგ შესაბამისი ზომების მიღებისა და მონაცვლადი ჯგუფების წარმომადგენელი ბავშვების საჭიროებებისთვის შედარებით მაღალი პრიორიტეტის მინიჭების აუცილებლობა. სიღარიბის რისკის წინაშე მდგარი საზოგადოების ერთ-ერთი ყველაზე დაუცველ ჯგუფს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები წარმოადგენენ. ვინაიდან სიღარიბე შეზღუდული შესაძლებლობის მიზეზიცაა და შედეგიც, გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტი მუდმივად ხაზს უსვამს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისა და მათი ოჯახების ღირსეულ პირობებში ცხოვრების უფლებას, მათ შორის: სათანადო კვებას, სამოსისა და საცხოვრებლის ქონას, აგრეთვე მათ უფლებას, განუწყვეტილ იუმპობესებდნენ ცხოვრების პირობებს.⁴ ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების მუშაობის შედეგად, საქართველოს მთავრობამ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა საკითხები ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების შესახებ შეთანხმების შესრულების ეროვნულ სამოქმედო გეგმასა და 2017 წლის ასოცირების დღის წესრიგში შეიტანა. 2017 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის⁵ 196.4 და 196.5 პუნქტები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა სახლების დეინსტიტუციონალიზაციის გაგრძელებასა და საქართველოს მასშტაბით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა სერვისების გეოგრაფიული მისაწვდომობის ზრდას ითვალისწინებს.

საკანონმდებლო ჩარჩო: საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ

საქართველომ გაერთიანებული ერების შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის რატიფიცირება 2014 წელს მოახდინა. თუმცა, ეროვნული კანონმდებლობა ძირითადად მაინც არ არის კონვენციასთან ჰარმონიზებული. ამის ერთ-ერთი ნათელი მაგალითია საქართველოს კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“, რომელიც სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის⁶ (პარ. 2.4.3) ვალდებულებებიდან გამომდინარე იქნა მიღებული. საგულისხმოა, რომ კანონი არ განსაზღვრავს „გონივრული მისადაგების“ ცნებას და შესაბამისად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრა არ არის ეფექტური.

4 გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტი (2006 წ.) ზოგადი კომენტარი #9. შშმ ბავშვთა უფლებები. გვ. 2

5 საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2017 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის პროექტი. ხელმისაწვდომია: <http://www.eu-nato.gov.ge/ge/eu/association-agreement> (მოძიებულია: 29.09.2017).

6 საქართველო-ევროკავშირის სავიზო დიალოგი, სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმა, ხელმისაწვდომია: <http://migration.commission.ge/files/vlap-eng.pdf> (მოძიებულია: 15.10.2018)

ველოს მასშაბით 23 ასეთი დღის ცენტრი ფუნქციონირებს, სადაც 815 ბავშვი იღებს მომსახურებას. თუმცა, არც სოციალური მომსახურების სააგენტო, ორგანო რომელიც მართავს და ზედამხედველობას უწევს დღის ცენტრებს, და არც განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, არ აწარმოებს სტატისტიკას, რამდენი ბავშვი დადის დღის ცენტრებში და ამავე დროს, რამდენი იღებს სავალდებულო საშუალო განათლებას. არასამთავრობო ორგანიზაცია “პარტნიორობა ადამიანის უფლებებისათვის” (შემდგომში - PHR) დღის ცენტრებთან ინდივიდუალური კომუნიკაციის საფუძველზე ეცადა ამ ხარვეზის აღმოფხვრას. 23 ცენტრიდან მხოლოდ 17-მა წარმოადგინა დამატებითი ინფორმაცია, რამაც ზემოხსენებული ჰიპოთეზა დაადასტურა: დღის ცენტრის სერვისით მოსარგებლე შებლდული შესაძლებლობების მქონე 294 ბავშვიდან, 199 ბავშვი პარალელურადაა რეგისტრირებული საშუალო სკოლებში. თუმცა, აქედან საშუალო სკოლაში რეგულარულად მხოლოდ 159 ბავშვი დადის. ფაქტობრივად, ეს ნიშნავს, რომ შებლდული შესაძლებლობების მქონე 135 ბავშვის განათლების უფლება დარღვეულია.

სოციალური სერვისების აწარმოება თვითდაზიანებული და სუიციდის რისკის შემხვილი ქსავის მქონე ბავშვისათვის

ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, საქართველოს მასშაბით ღრმა და მრავლობითი შებლდვის მქონე სულ 45 ბავშვი იღებს სარეაბილიტაციო მომსახურებას ორ სპეციალურ დღის ცენტრში. თუმცა, აღნიშნული მომსახურება გათვლილი არ არის ფსიქიკური ჯანმრთელობის მძიმე პრობლემების მქონე ბავშვებისათვის. ამ ბავშვებს სარეაბილიტაციო ცენტრის მომსახურებაზე უარს ეუბნებიან, რადგან ცენტრის თანამშრომლებს არ შეუძლიათ თვითდამაზიანებელი და სუიციდის რისკის შემცველი ქცევის მქონე ბავშვებთან მუშაობა. შესაბამისად, ერთადერთი გამოსავალი ასეთი ბავშვებისათვის არა ნებაყოფლობითი ფსიქიატრიული მკურნალობაა. ამ ყველაფერთან ერთად, ბავშვები სახლებში არიან იზოლირებულნი ყოველგვარი საგანმანათლებლო და სარეაბილიტაციო მომსახურების გარეშე. არასამთავრობო ორგანიზაციათა „კოალიციამ თანასწორობისათვის“ 2016 წელს გამოაქვეყნა საჯარო მიმართვა⁸ და დისკრიმინაციულად შეაფასა ეროვნული პროგრამა, ვინაიდან ის არ ითვალისწინებს თვითდამაზიანების ქცევის მქონე ბავშვების საჭიროებებს.

⁸ კოალიცია თანასწორობისათვის (2016 წ.) Official statement on the discriminatory approach of the state towards the children with disabilities. ხელმსაწვდომია: http://phr.ge/home/content?content_id=437 (მოძიებულია: 15.10.2018).

დისკრიმინაცია მოქალაქეობის ნიშნისა და სახელობის აღზრდის საფუძველზე

აუტიტური სპექტრის მქონე და სხვა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს სერვისებზე ხელი თანაბრად არ მიუწვდებათ, ხოლო მუდმივი ბინადრობის უფლების მქონე მესამე ქვეყნის მოქალაქეებს სახელმწიფო მუნიციპალურ რეაბილიტაციის პროგრამებში ჩართვაზე უარს ეუბნება. საქართველოს მასშტაბით არსებული მუნიციპალური სერვისების არათანაბარი განაწილება (პროგრამები მხოლოდ თბილისის, ბათუმის, ქუთაისის და ზუგდიდის მუნიციპალიტეტებში მუშაობს), რიგ მუნიციპალიტეტებში მცხოვრებ ბავშვებს მომსახურების გარეშე ტოვებს.⁹ ეს პრაქტიკა ეწინააღმდეგება ევროკავშირ-საქართველოს ასოცირების შესახებ შეთანხმების პრიორიტეტებს, უფრო კონკრეტულად, ნაწილი „თანამშრომლობა მიგრაციის, თავშესაფრისა და საზღვრის მართვის სფეროებში“ (მე-15 მუხლი) განმარტავს, რომ ყურადღება გამახვილდება „პირთა მიღების (ადმისიის) წესებისა და მიღებულ პირთა უფლებებისა და სტატუსზე, კანონიერად მცხოვრებ არა მოქალაქეთა მიმართ სამართლიან მოპყრობასა და ინტეგრაციისაზე, განათლებისა და ტრენინგზე; და რასიზმისა და ქსენოფობიის ეწინააღმდეგე მიმართულ ღონისძიებებზე“.¹⁰

მხარეების ნაკლებობა მშობლებისათვის და სტანდარტების გავრცელება

ემპირიული მონაცემების თანახმად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა მშობლების უმრავლესობა მარტოხელა დედაა. ბევრი მათგანი აცხადებს, რომ მეუღლეზე/პარტნიორზე ბავშვის დიაგნოზის გარკვევის შემდეგ მიატოვეს. სოციალური და სარეაბილიტაციო სერვისების არარსებობის გამო, დედების უმრავლესობა ვერ ახერხებს ბავშვის დატოვებას და შესაბამისად, ვერ მუშაობს. მათი ერთადერთი შემოსავალი სახელმწიფო პენსიაა – დაახლოებით 75 აშშ დოლარის ეკვივალენტის ოდენობით. მეორე მხრივ, სახელმწიფო დაახლოებით 250 აშშ დოლარის ეკვივალენტს უხდის ოჯახს, რომელიც ერთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვს აიყვანს მინდობით აღზრდაში, მაშინ როცა ბიოლოგიურ ოჯახებს არა აქვთ არანაირი ფინანსური მხარდაჭერა ბავშვის მიტოვებისა და ინსტიტუციაში განთავსების თავიდან ასაცილებლად.

ტრადიციული და ღრმად გამჭდარი სტერეოტიპების მიხედვით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების შესახებ ვრცელდება ისეთი სტერეოტიპები, როგორცაა ღვთის წყევლა ან სასჯელი ჩადენილი ცოდვებისათვის. ეს სტერეოტიპებია ბავშვების იზოლაციისკენ მიმართული ქმედებების მამოძრავებელი. მთავრობას დღემდე არ ჩაუტარებია ფუნდამენტური საინფორმაციო კამპანია შეზღუდული შესაძლებლობის მიმართ არსებული სტიგმის დასაძლევად.

9 თბილისის საკრებულოს განკარგულება #33-129, of 29 დეკემბერი, 2015 წ., მუხლი 4.2.1.

10 ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის. ხელმისაწვდომია: <http://www.parliament.ge/uploads/other/34/34754.pdf> (მოძიებულია: 15.10.2017)

დასკვნები და რეკომენდაციები

დასკვნის სახით შესაძლოა აღინიშნოს, რომ სასწრაფოდაა საჭირო ბავშვთა სარეაბილიტაციო და სოციალური ინკლუზიის, ეროვნული და მუნიციპალური პროგრამების შესწავლა და გადახედვა მხედველობაში უნდა იქნას მიღებული შემდეგი რეკომენდაციები:

- საქართველოს პარლამენტმა საქართველოს კანონმდებლობა შესაბამისობაში უნდა მოიყვანოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციასა“ და ევროკავშირის კანონმდებლობასთან;
- საქართველოს პარლამენტმა და საკრებულოებმა (ადგილობრივი მუნიციპალიტეტების საკანონმდებლო ორგანო) დაუყოვნებლივ უნდა გააუქმონ დისკრიმინაციული რეგულაციები და პრაქტიკა და არსებული სერვისები ხელმისაწვდომი გახადონ ყველა ბავშვისათვის;
- შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ და განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ უნდა შექმნან სრული სტატისტიკური სისტემები, სადაც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა რეგისტრაცია მოხდება სოციალური მოდელის პრინციპების გათვალისწინებით;
- საქართველოს მთავრობამ უნდა დაიწყოს ფართომასშტაბიანი ცნობიერების ამაღლების კამპანია შეზღუდულ შესაძლებლობებთან დაკავშირებული სტიგმისა და სტერეოტიპების დასაძლევად;
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ყველა ბავშვს მთავრობამ უნდა მისცეს ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობა და მათი განათლების უფლება დაიცვას კანონით.